

„ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტების ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ“ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის 2013 წლის 16 სექტემბრის №450/03 ბრძანების ნაწილის ბათილად ცნობის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, სსიპ – „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების“ მე-14 მუხლისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-60¹ მუხლის საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბათილად იქნეს ცნობილი „ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტების ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ“ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის 2013 წლის 16 სექტემბრის №450/03 ბრძანების პირველი პუნქტის 38-ე ქვეპუნქტი:

„ 38) რიზაევი ანარ “ .

2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.

3. ბრძანება დაეგზავნოს: კანცლერს, ვიცე-რექტორს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის აპარატის უფროსს, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანს, სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასებისა და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტს და იურიდიულ სამსახურს.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია

რექტორი